



ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

დაბა ქედა

N 81
11/12/2017

81-04-4-201712111618



სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-ს მიერ ელექტროგადამცემი სადენის მშენებლობის დროს მოჭრილი და დასაწყობებული საშეშე მერქნის ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შემავალი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებისათვის, სკოლებისა და სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის გადაცემის თაობაზე საქართველოს მთავრობის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის შუამდგომლობის მიზანშეუწონლობის შესახებ

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის N6 დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. მიზანშეუწონლად იქნას მიჩნეული საქართველოს მთავრობის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის შუამდგომლობა სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტრო სისტემა“-ს საკუთრებაში არსებული საშეშე მერქნის მუნიციპალიტეტის მერიისთვის გადაცემაზე, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შემავალი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებისათვის, სკოლებისა და სოციალურად დაუცველი ოჯახების უზრუნველყოფის მიზნით.

2. მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს ქედის მუნიციპალიტეტის მერს.

3. განკარგულების დაინტერესებულ მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა - აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი N358).

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

შუქრი თურმანიძე

საკრებულოს თავმჯდომარე